# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №457

**2014 წლის 18 ივლისი**

**ქ. თბილისი**

## „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/05/2012, 040030000.10.003.016848) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფები, №1 დანართის შესაბამისად.“.

2. პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$ მუხლი:

„**მუხლი $1^1$**. დამტკიცდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, სახელმწიფო ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფები, №2 დანართის შესაბამისად.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**

*„დანართი №2*

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, სახელმწიფო ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფები

| კოდი | ექსპერტიზის დასახელება | ობიექტის რაოდენობა | მომსახურების ტარიფი ( დღგ-ის ჩათვლით) |
|---|---|---|---|
| | სახელმწიფო ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებისთვის | ერთი ობიექტი | 106 ლარი და 50 თეთრი |
| 2 | სახელმწიფო ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა დასავლეთ საქართველოს რეგიონებისთვის“. | ერთი ობიექტი | 100 ლარი |